პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
31 ოქტომბერი
1942 წ.
№ 259 (6575)
ფასი 15 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო კავშირს, რომელნიც სამართლიან განმათავისუფლებელ ომს ეწევიან გერმანულ-იტალიის ავაზაკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისათვის

წითელი არმია დიდი ოქტომბრის პირმშოა

საბჭოთა ხალხი ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს. ჰიტლერელ ყაჩაღებთან ბრძოლის ველებზე წითელი არმია თავისი მკერდით იცავს ოქტომბრის სახელოვან მონაპოვართ, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

წითელი არმია საბჭოთა ხალხის სიამაყეა. იგი ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია, რომელმაც მუშათა კლასსა და გლეხობას ხელთ მისცა შეიარაღებული ძალა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ლენინსა და სტალინს მუშათა კლასის შეიარაღებულ ძალთა შექმნა ბოლშევიკური პარტიის უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნდათ. წითელი არმიის სახით ჩვენ ვპოულობთ ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას. მძლავრი წითელი არმია ფაქტი გახდა.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ მუშათა კლასს მტრებთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება შეუძლია მხოლოდ თავისი, ხალხის საქმისადმი ერთგული შეიარაღებული ძალების, თავისი მშობლიური რევოლუციური არმიის დახმარებით.

ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ჩვენი პარტია მუშათა კლასის პირველ შეიარაღებულ რაზმებს ჰქმნიდა. ქარხნებსა და ფაბრიკებში იქმნებოდა შეიარაღებული ადამიანების მცირე ჯგუფები, რომლებიც მებრძოლ რაზმებად ერთიანდებოდნენ. ამ რაზმების საფუძველზე შეიქმნა წითელი გვარდია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში. „შეიარაღებული მუშები იყვნენ **ახალი** არმიის ჩანასახი, **ახალი** საზოგადოებრივი წყობილების ორგანიზაციული უჯრედი" (ლენინი).

წითელი გვარდია, რევოლუციური ჯარისკაცებისა და მატროსების რაზმები იმ სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა, მტკიცდებოდა და ძალებს იკრებდა წითელი არმია, როგორც ოქტომბრის რევოლუციის არმია. სამოქალაქო ომის ცეცხლში იჭედებოდა ახალი არმია — წითელი არმია, ფოლადის ფარი რომ გახდა, რომელიც იცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ. იგი ოქტომბრის პირმშოა.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ, რომ მათ შესძლეს შეექმნათ მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც გააფთრებულ ბრძოლებში იცავდა და იცავს საბჭოთა წყობილებას, საბჭოთა კავშირის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ, რომ წითელმა არმიამ შესძლო ღირსეულად გამოევლო მძიმე გზა ჩვენი სამშობლოს გარეშე და შინაურ მტრებთან უსასტიკესი ბრძოლებისა, რომ მან შესძლო ჩამოყალიბებულიყო მძლავრ მებრძოლ ძალად საბჭოთა კავშირის მტრების თავზარდასაცემად, ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა სასიხარულოდ, ჩამოყალიბებულიყო ისეთ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მონაპოვარნი ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ, რომ წითელი არმია, განვლო რა სამოქალაქო ომის მძიმე გზა, პერიოდი რეკონსტრუქციისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, განმტკიცდა, დავაჟკაცდა და გმირულად იცავს ოქტომბრის მონაპოვართ, საბჭოთა მიწა-წყალს, რომელსაც ვერაგულად დაესხნენ თავს ჰიტლერელი ყაჩაღები.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ, რომ ჰიტლერელი დამპყრობლებისადმი წითელი არმიის გმირულმა წინააღმდეგობამ კვამლივით გაჰფანტა ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ, რომ წითელი არმიის აღჭურვილობა, მისი უნარი მიაყენოს მტერს სერიოზული ზარალი ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ, მისი დისციპლინა და სიმტკიცე გვინერგავს რწმენას საბჭოთა იარაღის გამარჯვებისადმი.

რაში მდგომარეობს წითელი არმიის ძალა? სად არის მისი ძლიერების წყარო? წითელი არმიის ძალა იმაშია, რომ იგი ეწევა სამამულო ომს, განმათავისუფლებელ, უაღრესად სამართლიან ომს, იცავს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ. მისი ამოცანებია — გაათავისუფლოს გერმანელ დამპყრობლებისაგან ჩვენი საბჭოთა ტერიტორია, გაათავისუფლოს გერმანელი ოკუპანტების უღლისაგან ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოქალაქენი, გაათავისუფლოს ჩვენი ქალები ჰიტლერელი მტარვალების მხრივ შეურაცხყოფისა და შებილწვისაგან.

წითელი არმიის მეომარს სიამაყით შეუძლია სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს, ომს თავისი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. „წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღაფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის" (სტალინი).

წითელი არმიის ძალა ხალხის სიყვარულშია. საბჭოთა ხალხს ძლიერ უყვარს თავისი არმია, ზრუნავს მისთვის, როგორც თავისი ღვიძლი პირმშოსათვის, რომელიც ოქტომბრის ქარიშხალში იშვა.

„არმიისადმი ჩვენი ხალხის ასეთი ღრმა სიყვარულის მთავარი და ძირითადი მიზეზი ის არის, რომ იგი დარწმუნებულია, რომ არმია წარმოადგენს გარეშე მტერთაგან მის დამცველს... ჩვენს ხალხს არმია მიაჩნია დამპყრობთა მხრივ ყოველგვარ ხელყოფისაგან თავის მთავარ დამცველად. მას აქვს რწმენა თავისი არმიისადმი, სწამს მისი სიმტკიცე, სიმამაცე, ომის უნარი, დარწმუნებულია, რომ, რაც უნდა ძლიერი იყოს მტერი, რომელიც ჩვენს საზღვარს დაესხა თავს, იგი განადგურებულ იქნება ჩვენი არმიის მიერ. სწორედ ამისათვის უყვარს ხალხს თავისი არმია" (კალინინი).

სამოქალაქო ომში წითელმა არმიამ იმით გაიმარჯვა, რომ ბოლომდე ერთგული და თავდადებული იყო თავისი ხალხისათვის, რისთვისაც ხალხს უყვარდა იგი და ეხმარებოდა, როგორც თავის მშობლიურ არმიას. წითელი არმია ხალხის პირმშოა. და, თუ იგი თავისი ხალხის ერთგულია, როგორც თავისი დედის ერთგული შვილი, მას ყოველთვის დაეხმარება ხალხი, მან უნდა გაიმარჯვოს, იგი გაიმარჯვებს ამ ომშიც.

წითელი არმიის ძალა იმაშია, რომ ჩვენი ხალხი ერთი წუთითაც არ ანელებს რეზერვების მომზადებას ფრონტის დასახმარებლად, რომ სამშობლო სულ ახალ-ახალ ჯარის ნაწილებს ჰგზავნის ფრონტზე გამხეცებულ მტერზე გამარჯვების გამოსაჭედად, რომ ჩვენი მრეწველობა გაორკეცებული ენერგიით მუშაობს და ცდილობს დღითიდღე უფრო და უფრო მეტი თვითმფრინავები, ტანკები, ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები და საომარი მასალები მისცეს ფრონტს.

წითელი არმიის ძალა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვენი არმია, არის საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის არმია, მათ შორის საბრძოლო მეგობრობის არმია, რომ იგი არის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველი არმია. განმათავისუფლებელი ომის მრისხანე დღეებში წითელ არმიას უდიდეს დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა და ყოველ ეროვნებათა მილიონიანი მასები.

საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში მიდიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

ჩვენი სამშობლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს ეგებება მშობლიური წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარების ნიშნით. საბჭოთა ხალხის მთელი ცხოვრებისა და საქმიანობის პირველ პლანზეა საკითხი ომის შესახებ, წითელი არმიის განმტკიცების, ფრონტისადმი დახმარების შესახებ. საბჭოთა ხალხის მთელი ძალ-ღონე მიმართულია ერთი მიზნის მიღწევისაკენ — გაანადგუროს მტერი, გაათავისუფლოს ჩვენი მიწა-წყალი ჰიტლერელი არამზადებისაგან, დაიცვას ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი.

მეჩვიდმეტე თვეა მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ბრძოლა. სწყდება კაცობრიობის შემდგომი განვითარების ბედის, ოქტომბრის მონაპოვართა ბედის საკითხი. მტერი კვლავ მოძვრება ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. სწარმოებს სისხლისმღვრელი ბრძოლები სტალინგრადის რაიონში, ნალჩიკის რაიონში. ბრძოლები არ სწყდება ფრონტის სხვა უბნებზეც.

წითელი არმიის მეომრები, მთელი საბჭოთა ხალხი იცავენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ. სტალინგრადის გმირი დამცველნი, როგორც სამშობლოს ერთგული შვილები, გვიჩვენებენ, თუ როგორ შეუძლიათ ბრძოლა საბჭოთა ადამიანებს, როგორ უნდა დაცვა ყოველ ნაჭერ ჩვენს მიწას, როგორ უნდა დაცვა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. „სტალინგრადის სახელოვანო დამცველნო! თქვენთან არის მთელი საბჭოთა ხალხი. იბრძოლეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ულმობელად ანადგურეთ, უკუაგდეთ და ჟლიტეთ მტრის ურდოები! გაუმარჯოს სტალინგრადის გმირ დამცველებს!"—ნათქვამია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებში.

საბჭოთა მეომრებო! წითელი არმიის მებრძოლებო! იბრძოლეთ ისე, როგორც სტალინგრადის დამცველები იბრძვიან! სრულყოფილად შეისწავლეთ თქვენი იარაღი, გახდით თქვენი საქმის ოსტატები, მიბრეჯნით ურტყით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ მათს სრულ გაჟლეტამდე!

წითელი არმიის მეთაურებო! დაუღალავად ამაღლეთ ჯარის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო სწავლება, განამტკიცეთ დისციპლინა და ერთმმართველობა, სრულყოფილად შეისწავლეთ ჯარის გვარეობათა თანამოქმედების საქმე, გახდით ჯარის წინამძღოლობის ოსტატები!

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდის" მოწინავე, 30/X.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო პოლონეთის ელჩი ბ-ნი ტ. რომერი

30 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ტ. რომერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 ოქტომბრის დილის ცნობა

29 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. ქალაქის თავდაცვის ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი ტანკების დახმარებით შეტევაზე გადმოვიდა. მებრძოლებმა ამხ. გოროხოვის მეთაურობით მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს და თავიანთი პოზიციებს ინარჩუნებენ. ქარხნების რაიონში გერმანელთა დიდძალმა ტანკებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. იმ ნაწილის ტანკისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ლუჩილოვი, გზა გადაუღობეს მტრის მანქანებს. ლეიტენანტ გოლიშევის ტანკმა ზღვრული სისწრაფით კონტრიერიში მიიტანა მტერზე და გატარნა გერმანელთა ტანკი. გოლიშევს შემდეგ სწრაფად დაიძრნენ წინ სხვა საბჭოთა მანქანები. გერმანელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა ტანკების იერიშს და, თავიანთი რიცხობრივი სიჭარბის მიუხედავად, სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ამ ბრძოლაში საბჭოთა ტანკისტებმა გერმანელთა 16 ტანკი მოსპეს.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ქვეგანაყოფი ღამით შეიჭრა მტრის თავდაცვაში. გულადმა მებრძოლებმა გრანატები დააყარეს სანგრებს, შემდეგ კი იძულებული გახადეს გერმანელები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. გაჟლეტილია 130 ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ **ორი** ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი და საომარ მასალათა საწყობი. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა გაჰფანტეს დიდი დაჯგუფება მტრის ქვეითი ჯარისა, რომელიც იერიშისათვის ემზადებოდა.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და ერთი მაღლობი დაიპყრეს. ამ ბრძოლაში გაჟლეტილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია დავლა—8 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, დიდძალი შაშხანა და საომარი მასალა. ჩვენი მეზენიტეების ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა **სამი** ავიაგამანადგურებელი.

* * *

ნალჩიკის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის შემომტევი ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ. ერთ-ერთ უბანზე მტერმა მოახერხა ჩვენი ქვეგანაყოფების შევიწროება. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი და 15 ავტომანქანა ჯარებიანად და საომარ მასალიანად.

* * *

კალინინის ფრონტზე რაზმი კაპიტან ამხ. ბაბორიკინის მეთაურობით შეიჭრა გერმანელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში და 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა. 6. მშრომელი ნაწილის სნაიპერებმა ერთი თვის განმავლობაში 1.048 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. სნაიპერმა გვარდიის წითელარმიელმა ამხ. აბდიბეკოვმა 125 გერმანელი გაჟლიტა, გვარდიის ეფრეიტორმა ამხ. მადამინოვმა—84, ამხ. ერტანოვმა—65, ამხ. ნესპუბეკოვმა 43 ჰიტლერელი დახოცა.

* * *

ბელორუსი პარტიზანების რაზმმა ოკუპანტებთან ღამის ბრძოლაში ავტომატებით გაჟლიტა 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა პარტიზანული რაზმის წინააღმდეგ ჰიტლერელებმა 600 კავალერისტისაგან შემდგარი დამსჯელი ექსპედიცია გამოიყვანეს. დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ გაიმართა ბრძოლა, რომელშიც პარტიზანებმა 150 გერმანელი დახოცეს, დანარჩენნი კი გაჰფანტეს. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის რკინიგზის ეშელონი. ორთქლმავალი და 6 ვაგონი დაიმსხვრა. გარდა ამისა, 10 ვაგონი გამოკვანილია მწყობრიდან.

* * *

ბრიანსკის ფრონტზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა მე-4 სატანკო დივიზიის ეფრეიტორი ვილჰელმ მ. გადმოსულმა განაცხადა: „ბრიანსკის გარშემო პარტიზანები ყოველდღე აწყობენ თავდასხმებს. მატარებელმა, რომლითაც მე ნაწილში მოვდიოდი, მარცხი განიცადა. მატარებელი და ხუთი ვაგონი დაიმსხვრა. კატასტროფის დროს ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა".

* * *

გერმანიის იუსტიციის ახალი მინისტრი ჯალათი ფონ ტირაკი უმაგალითო ულმობლობით ახშობს გერმანიაში უკმაყოფილების ოდნავ გამომჟღავნებას. ჰიტლერულ სასამართლოს მანქანას ყოველდღე გამოაქვს ათასობით მკაცრი განაჩენი იმათთვის, ვინც ომისა და ფაშისტური რეჟიმის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამს. მარტო ოქტომბრის პირველ ნახევარში მიუნხენის სასამართლოებმა გამოიტანეს 200-ზე მეტი კატორღული განაჩენი „გერმანიის გამარჯვებისადმი რწმენის უქონლობისათვის". ჰამბურგში ამ უკანასკნელ ხანს დააპატიმრეს და საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდიეს 600-ზე მეტი მუშა.

30 ოქტომბრის საღამოს ცნობა

30 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს გერმანელთა 2 ტრანსპორტი 20.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

29 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქა საწვავის საწყობი, დაამსხვრია რკინიგზის სამი შემადგენლობა, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო ორ ასეულამდე მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები ჰიტლერელთა იერიშებს იგერიებდნენ. დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 1.100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია 8 ტანკი, ჩახშობილია 6 სანაღმსატყორცნო და 8 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი. პოლიტხელმძღვანელმა ამხ. პლეშკოვმა გერმანელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო ტანკსაწინააღმდეგო თოფით. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო აგრეთვე უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. პოტრენკომ. უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. კალინინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით დააზიანა გერმანელთა მძიმე ტანკი. სათვალავით ეს უკვე გერმანელთა მეხუთე ტანკია, ლეიტენანტმა რომ მოსპო.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. 6 ქვეგანაყოფმა რუმინელთა იერიში მოიგერია და მტრის 180 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გამოხდომა მოაწყეს მტრის განლაგებაში. ხელჩართულ შეტაკებაში მოსპობილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. წამოღებულია ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 5 ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური და 2 ავტომანქანა სომარმასალიანად.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ და ნელა მიიწევდნენ წინ. ერთი მაღლობის რაიონში ჰიტლერელები მრავალი დღის უშედეგო იერიშების შემდეგ თავდაცვაზე გადავიდნენ. ორი დღის საბრძოლო მოქმედების შემდეგ ამ უბანზე გაჟლეტილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფმა მტრის იერიში მოიგერია და 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა.

* * *

ნალჩიკის რაიონში ჩვენი ნაწილები მოგერიებით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებთან და ქვეით ჯართან. ერთი მაღლობის რაიონში 6 ნაწილის მებრძოლები ჰიტლერელთა სასტიკ იერიშებს იგერიებდნენ. დაზიანებულია 2 ტანკი და გაჟლეტილია ერთ ასეულამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. დღის ბოლოს მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების ზეგავლენით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა თავდაცვის ახალ ზღუდეზე გადმოინაცვლეს.

* * *

ვორონეჟის რაიონში საბჭოთა არტილერიის ცეცხლით თავდასხმებით დანგრეულია მტრის 24 ძელმიწური საცეცხლე წერტი. აფეთქებულია საწყობი სომარ მასალიანად, ჩახშობილია ორი სანაღმსატყორცნო და სამი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე გერმანელთა რაზმი ცდილობდა დაეზვერა ჩვენი სიმაგრეების განლაგება. ჩვენმა მებრძოლებმა 100 მეტრზე მოუშვეს მტერი, შემდეგ თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით 40-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს. დღის განმავლობაში სნაიპერებმა 150-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანები ერთდროულად დაესხნენ თავს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების გარნიზონებს ორ დასახლებულ პუნქტში. მზვერავებმა მოშალეს კავშირგაბმულობა და მოხსნეს გუშაგები. შემდეგ საბჭოთა პატრიოტები სოფლებში შეიჭრნენ, გრანატები დააყარეს სახლებს, სადაც გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები იმყოფებოდნენ. ჰიტლერელები, რომელნიც გაქცევით ცდილობდნენ თავის გადარჩენას, გაჟლიტეს პარტიზანთა ჩასაფრებულმა რაზმებმა, რომლებიც დასახლებული პუნქტების გარშემო იყო დაყენებული. ამ ოპერაციის შედეგად მოსპობილია 159 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარია ტანკი, 2 ჯავშანმანქანა და გერმანელთა 4 თვითმფრინავი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ორი 76-მილიმეტრიანი ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 10 ნაღმსატყორცნი, 94 შაშხანა, 25.500 ვაზნა, 316 ნაღმი, რადიოსადგური და 54 ცხენი.

* * *

ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის მთელ რიგ რაიონებში გახშირდა ფრანგი სამხედრო ტყვეების გაქცევა ბანაკებიდან. ოქტომბრის დამდეგს ტეგერნის ტბასთან ტყვეების ჯგუფმა დამცველი რაზმი განაიარაღა და მიიმალა. როზენჰაიმის ახლოს ტყვეებმა საფრიდან დახოცეს 11 გესტაპოელი, რომელნიც მათს დაკავებას ცდილობდნენ. ქვემო ბავარიაში მოქმედებენ წვრილ-წვრილი შეიარაღებული ჯგუფები ფრანგი ტყვეებისა, რომელნიც ბანაკებიდან გაიქცნენ და სამშობლოსაკენ მიემართებიან.

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 30 ოქტომბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლებია. ჩვენი ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და ნელა მიიწევდნენ წინ. საბჭოთა მებრძოლებმა ამ უბანზე გერმანელთა ჯარების ყველა იერიში მოიგერიეს. ჰიტლერელები, რომლებსაც ერთი მაღლობის რაიონში დიდი ზარალი მოუვიდათ, თავდაცვაზე გადავიდნენ. გუშინ იმ სექტორში, სადაც ფაშისტებმა თავიანთი ძირითად ძალებს მოუყარეს თავი, ჩვენმა ნაწილებმა რამდენადმე წაიწიეს წინ. ამ უბანზე გაჩაღებულ შეუპოვარ ბრძოლებში დახოცილ იქნა მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

დაზუსტებული ცნობებით, კაზაკთა 6 ნაწილის გვარდიელებმა ერთი სოფლის ახლოს მომხდარ ბრძოლაში სავსებით მოსპეს მოწინააღმდეგის ერთი ასეული ქვეითი ჯარი, ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა—8 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, მრავალი შაშხანა, ვაზნა და 1.000 გრანატი.

ჩვენმა ნაწილმა მტრის გააფთრებული იერიშების მოგერიებისას, რომელიც ორჯერთხელ შეეცადა დაებრუნებინა დაკარგული მაღლობი, 200-მდე ფაშისტი დახოცა. გერმანელები სასწრაფოდ მაგრდებიან მთებში და ახალი იერიშებისათვის ემზადებიან.

ქ. პუხოვი

მტრის პოზიციების იერიში

მოქმედი არმია, 30 ოქტომბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დასახლებული პუნქტი და პატარა ტბა, რომელთა დასაპყრობადაც ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლები სწარმოებდა, უკან მოვიტოვეთ. ჩვენი ჯარები სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით შდებარე რაიონში ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ავიწროებენ მტერს. წინ, მბრძანებელ მაღლობებზე გერმანელები არიან, მაღლობების კალთები დაფარულია მტრის სანგრებითა და ბლინდაჟებით. ხევებში თავმოყრილია მტრის ბატარეები, ნაღმსატყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები და ზარბაზნები.

არტილერისტებმა კაპიტან ჩერნონოვის, უფროს ლეიტენანტ ბოიკოს, ლეიტენანტ პოპოვის მეთაურობით, დაზვერეს რა მტრის საცეცხლე წერტები, სროლა გააჩაღეს. არტილერიის საფარქვეშ ქვეითი ჯარი საიერიშოდ დაიძრა. სიმაგრეებში ჩასაფრებულმა გერმანელმა მეავტომატეებმა ფლანგიდან აუტეხეს სროლა ჩვენს მებრძოლთ. შეტევაზე გადასული მწკრივები შეფერხდნენ. მაშინ კომკავშირელმა ბურცევმა თავის მებრძოლთა ჯგუფით სწრაფად წაიწია წინ, მარჯვე ზღუდე დაიკავა და გაჰფანტა მტრის მეავტომატეები. უფროსმა სერჟანტმა კორშუნოვმა მტრის 3 საცეცხლე წერტი მოსპო. ქვემეხის მეთაური მიჩევლოვი თვალში დაიჭრა. მან თვითონ შეახვია ჭრილობა და ხელახლა დაუშინა ფაშისტებს.

შემტევმა მწკრივებმა კვლავ გასწიეს იერიშზე, შეავიწროვეს გერმანელები და მარჯვე პოზიციები დაიკავეს.

ვ. მაქსიმოვი

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მთელი ძალღონე მოვახმაროთ ფრონტის დახმარებას, მტრის განადგურებას!

ორპირის ჩაის ფაბრიკა მომჭირნეობისათვის ბრძოლაში

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წულუკიძის ჩაის ფაბრიკასთან ჩაბმისას ორპირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება თვიური დავალება შეესრულებინა 20 ოქტომბრისათვის, ხოლო 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოეშვა 10 ტონა ჩაი.

ნაკისრ ვალდებულებას ფაბრიკა წარმატებით ასრულებს. ჯერ კიდევ 19 ოქტომბრისათვის ფაბრიკაში ჩაის დამზადების 1942 წლის გეგმა 160 პროცენტით შესრულდა.

ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით იბრძვის მომჭირნეობის რეჟიმისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი რესურსების, საწვავი მასალისა და ხელფასის ფონდების ეკონომიურად ხარჯვას. 1942 წლის ხელფასის ფონდიდან უკვე დაზოგილია 37.900 მანეთი. ფაბრიკაში ეს წარმატება მიღწეულია პროფესიათა შეთავსებით. მაგალითად, ტექნოლოგი კ. რუხაძე შეთავსებით მუშაობს ჩაის ოსტატის თანამდებობაზე.

წინათ თითოეული კუბური მეტრი ტარამასალის დამზადებაში 180 მანეთს ვიხდიდით, ახლა კი მას ფაბრიკა თვითონ აზადებს და 130 მანეთზე მეტი არ ჯდება. ამ ღონისძიებით სეზონში მიღწეულია 2.000 მანეთის ეკონომია. გარდა ამისა, ღუმელების ეკონომიურად თბობით აგვისტოსა და სექტემბერში დაზოგილია 2.600 კილოგრამი მაზუთი.

ფაბრიკამ ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის მიზნით 5 დიდი ძრავი (რაც არ იყო საჭირო) შესცვალა მცირეძალიანი ძრავებით. ამით სეზონში დაზოგილ იქნა 20.240 კილოვატი ელექტროენერგია.

ორპირის ჩაის ფაბრიკამ ჩატარებული კარგი მუშაობისათვის „საქჩაის" გარდამავალი წითელი დროშა მიიღო, ხოლო საკავშირო სოცშეჯიბრებაში დაიკავა მესამე ადგილი და მიიღო პრემია 40.000 მანეთის რაოდენობით.

მაგრამ ფაბრიკის კოლექტივი არ კმაყოფილდება ამ მიღწევებით. იგი ენერგიის დაუზოგავად იბრძვის ახალ-ახალი წარმატებებისათვის, რომ უფრო მეტი დახმარება გაუწიოს ფრონტს.

შ. დოლიძე
ორპირის ჩაის ფაბრიკის დირექტორი

ჰექტარზე 74.8 ცენტნერი პურის მოსავალი

1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოფნისას სხვა მიღწევებთან ერთად ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია პურის უცხოურმა ჯიშებმა, რომლებიც ჩვენში ბევრგან კარგ მოსავალს იძლევიან—ჰექტარზე 50-80 ცენტნერამდე. კერძოდ, უზბეკეთის პავილიონში მე ენახე მაღალმოსავლიანი პურის ჯიშები: პოლონური, ინგლისური და სვილა, რომელთა თითო თავთავი კიდევაც გამომატანეს, რომ ჩვენში დამეთესა.

ცდები დავაყენე თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში. შემოდგომაზე მოხნულ საშუალო ნოყიერების თიხნარ ნიადაგში იმავე 1940 წელს, ოქტომბერში დავთესე როგორც ადგილობრივი გავრცელებული ჯიშები: დოლი, თავთუხი, კოოპერატორკა, უკრაინკა და ხულუგო, ისე გამოფენიდან მოტანილი ჯიშები: ინგლისური, პოლონური და სვილა. მოვლა ჩვეულებრივი იყო—ესე იგი ნათესი გავმარგლე და ნიადაგი გავუფხვიერე. მიუხედავად ამისა, გამოფენიდან მოტანილი ჯიშების მოსავალმა ადგილობრივ გავრცელებული ჯიშებისას დაახლოებით სამჯერ გადააჭარბა—ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალოდ მივიღე: სვილა—74,8 ცენტნერი, ინგლისური—49,6, პოლონური—36,8 ცენტნერი, ხოლო ადგილობრივ გავრცელებული ჯიშები: კოოპერატორკა—24,5 ცენტნერი, დოლი—29.4, ხულუგო—31,7 უკრაინკა—32 და თავთუხი—44,1 ცენტნერი. თესვა გავიმეორე შემოდგომაზე, როგორც 1941, ისე 1942 წელს, მაგრამ ჯიშთა შორის არსებული რაოდენობითი შეფარდება მოსავლის მხრივ არ შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის დასახელებული ჯიშები ფხიანია და მარცვლის ჩაცვენა არ ხდება. სიმწიფის პერიოდი კი იგივეა, რაც ადგილობრივი ჯიშებისა. გარდა ამისა, ინგლისური ჯიშის პურის ჩალა მსხვილია და სიმაღლით 1,5 მეტრამდე იზრდება, ბზე რბილი აბრეშუმისებური აქვს, მარცვალი თითოეულ თავთავში საშუალოდ 136 ცალია და მეტის მეტად თეთრ ფქვილს იძლევა, სვილას ჯიშის პურის ფქვილი კი უფრო მუქი ფერისაა.

ამჟამად ადგილობრივ უკვე მომზადებული გვაქვს გამოფენის ჯიშთა ათ-ათი კილოგრამი თესლი. ამ ჯიშებს წელს კვლავ დავთესავთ თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ფართობებზე როგორც მაღლობ ზონაში, ისე ალაზნის ველზე.

სიკო მახათელაშვილი
თელავის რაიმიწგანის უბნის აგრონომი

კოლმეურნეები უხვ მოსავალს იღებენ

ცაგერი. სამამულო ომის დღეებში ცაგერის რაიონის კოლმეურნეები მაღალნაყოფიერად შრომობენ სოციალისტურ მინდვრებზე და უხვ მოსავალს იღებენ. სოფ. მახაშის კოლმეურნეობის წევრებმა (თავმჯდომარე ვლ. მუშკუდიანი) შრომადღეზე 7 კილოგრამი სიმინდი მიიღეს. აქ წელს ყურძნის დიდი მოსავალი იყო. კოლმეურნეობაში გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს მეოთხე ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი სონია ცხვედიანი ხელმძღვანელობს. მოწინავეა აგრეთვე პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ცხვედიანი). კოლმეურნეობა კარგად ემზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ტონისა მომზადებულია 20 ტონა სილოსი, მომარაგებულია 75 ცენტნერი თივა და სხვ.

მაღალი მოსავალი მიიღეს წელს სოფ. ლეხვირის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ი. ჭაბუკიანი). ნაცვლად გათვალისწინებული 12 ცენტნერისა ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 14 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეობა თითოეულ შრომადღეზე საშუალოდ 4 კილოგრამ სიმინდს განაწილებს. კოლმეურნეები გრიშა და სერაფიონ ახვლედიანები, ე. გასვიანი და სხვ. ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ წელს თითოეულს უკვე გამომუშავებული აქვს 300-მდე შრომადღე.

უხვი სამხედრო მოსავლის მიღებით თავი ისახელეს აგრეთვე სოფ. ჩხუტელის, ლასურიაშის, ლესინდის და ლასხანის კოლმეურნეობებმა.

მ. ჯინჭველაშვილი

ხვნა-თესვის გეგმებს წარმატებით ასრულებენ

წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების გაშლის საფუძველზე გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" წევრები მებრძოლურად მუშაობენ. კოლმეურნეობამ უკვე დათესა 80 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ს. შუხოშვილის ბრიგადამ. დავალებები წარმატებით სრულდება აგრეთვე სოფ. შაშიანის კოლმეურნეობა „კომუნის გზაში", სადაც დაითესა 55 ჰექტარი და მოიხნა 98 ჰექტარი. ამ კოლმეურნეობაში ი. ბიჭკინაშვილისა და გ. აბაშიძის ბრიგადებმა გეგმების შესრულებაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოგვცეს.

ს. შაქარაშვილი

ჰიტლერელთა მხეცობა ყირიმში

მოქმედი არმია, 30 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მზიანი ყირიმი, თავისი აყვავებული ხეხილებით, ბაღებით, ვენახებით, ულამაზესი სანატორიუმებით, გერმანელთა მოსვლის შემდეგ ჩაკვდა, აკლებულ იქნა. კოლმეურნეობები აახრეს, კოლმეურნეები მონებად გადააქციეს, გლეხებს პური, ბოსტნეული, ხილი, პირუტყვი, ფრინველი და ტანისამოსი ჩამოართვეს. ფაშისტებმა ყირიმის ოკუპაციის შემდეგ კოლმეურნეობათა მთელი სიმდიდრე თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს. სოფელ კოუშიდან, ავჯიკოიდან, ულუსალიდან, შურიდან და სხვა ადგილებიდან გლეხები ფარულად მოვიდნენ პარტიზანებთან და ილაპარაკეს გერმანელთა მიერ შემოღებულ წესებზე.

ყველა ბაღი, თამბაქოს პლანტაცია, ვენახი, ბოსტანი გერმანელთა სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს გადაეცა.

ბაღებსა და ვენახებში სპეციალური დარაჯებია ჩაყენებული. მზის ამოსვლიდან დაღამებამდე მოერეკებიან აქ გლეხებს მოსავლის ასაღებად, რომლის ნაწილი გერმანიაში გააქვთ, ხოლო ნაწილი გერმანელ ხელისუფლებს ჰბარდება. მიწის ინდივიდუალური ნაკვეთის მოსავალი გერმანელთა სარდლობას ეძლევა. მოსახლეობა დამშეულია. მას სიღატაკე და ნელი ამოწყვეტა არგუნეს წილად. სოფელში ბატონყმობა შემოიღეს. ღამით მრავალი სოფლის მამაკაცებს ყაზარმებში მიერეკებიან. ვერავინ ვერ გაბედავს განშორებას, ვერ გაბედავს შინ მისვლას. იმათ, ვინც წავა, ბრალად სდებენ პარტიზანებისათვის ხელშეწყობას და ხვრეტენ.

ქალაქებში ცხოვრება კიდევ უფრო მძიმეა. სიმფეროპოლიდან გამოქცეული საბჭოთა მოქალაქენი მოგვითხრობენ: „ქუჩებში დაეხეტებიან შიმშილისაგან გასივებული, ქანცგამოლეული ადამიანები. ყველა მაღაზია დახურულია, ბაზარი თითქმის არ არსებობს".

გესტაპოელებმა ფართოდ გააჩაღეს თავიანთი სისხლიანი საქმიანობა. სიმფეროპოლს იქით, სოფელ მაზანკის ახლოს, თხრილებში თათრებისა და რუსების ათასობით გვამი ყრია. გერმანელები მხეცურად უსწორდებიან ინტელიგენციას. მედიცინის პროფესორ ბალაბანის დახვრეტის ცოტა ხნის შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს ექიმთა ჯგუფი. ბარბაროსები დიდხანს იგდებდნენ აბუჩად მეცნიერ მუშაკს არხიპოვს. იგი მოჰკლეს საშინელი წამების შემდეგ. დახვრიტეს აგრეთვე ყირიმის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სმოლენსკი და მრავალი სხვანი. განსაკუთრებით ძნელი ბედი ხვდათ ოკუპირებულ რაიონებში დარჩენილ ქალიშვილებსა და ქალებს. ქალებს ასობით ერეკებიან საროსკიპოებში ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ შესაგინებლად. სიმფეროპოლის შრომის ბირჟებში ქალიშვილებს „სამუშაოს" სთავაზობენ საროსკიპოებში. გერმანელებმა ყირიმის მრავალი მცხოვრები ფაშისტურ კატორღაში გარეკეს გერმანიაში. სევასტოპოლის მოედნებზე სახრჩობელებია გაკეთებული.

გერმანელი მტარვალები არ ინდობენ არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცთ. ელენე გავალოს ორი გერმანელი შეუვარდა სახლში. გავალო ამ დროს ექვსი თვის ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ერთ-ერთ ჯალათს უნდოდა დედისათვის ხელში გამოეტაცა ბავშვი. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ ფაშისტმა აიყვანა ბავშვი და ლავგარდანს უხალა თავი. ატირებული გავალო მომაკვდავ ბავშვს მივარდა. ამ დროს მეორე ჰიტლერელმა რამდენჯერმე ესროლა მას ზურგში.

რამდენიმე სხვა ბანდიტმა ორი წლის ვაჟს თვალწინ დაუხვრიტა მამა—შახტის დარაჯი ზალესნი. როცა შეშინებული ბავშვი მკვდარ მამას მივარდა, ოფიცერმა მოჰკლა იგი. ტყის ყაზარმაში, სადაც მიხეილ ლესნიჩის ოჯახი იმყოფებოდა, „სს"-ელები შეცვივდნენ და მოითხოვეს პარტიზანთა ადგილსამყოფელი გვიჩვენეთო. ლესნიჩიმ განუცხადა, არ ვიცი პარტიზანები სად არიანო. ეს დაადასტურა აგრეთვე მისმა ცოლმა. მაშინ „სს"-ელებმა მშობლების თვალწინ კონდახებით გაუჭყლიტეს თავი მათს შვიდი წლის ვაჟს, მოჰკლეს ლესნიჩის ცოლი და საშინელი წამების შემდეგ მოჰკლეს თვითონ ისიც. სახლში ლესნიჩის ნათესავი ორსული ქალი იმყოფებოდა. გერმანელებმა ჯოხებით სცემეს მას, იატაკზე დააგდეს და ფეხებით დაუწყეს თელვა. შემდეგ დახვრიტეს.

კიდევ უფრო საზიზღრად ეპყრობიან გერმანელები სამხედრო ტყვეებს. სამხედრო ტყვეები, რომლებმაც თავი დააღწიეს ბახჩისარაის ახლოს მდებარე ბანაკს, გვიამბობენ: „ტყვეებს წყალში მოხარშულ ქატოთი ჰკვებავენ. ბევრი ტყვე ავად არის, ვინც ავადმყოფობას დაიჩივლებს, მაშინვე ხვრეტენ. ბანაკში ყოველდღიურად 20-30 კაცი იხოცება. ტყვეებს ხშირად სულ უმიზეზოდ სცემენ რეზინის ჯოხებითა და კონდახებით. განსაკუთრებით უტიფრად დასცინიან მათ დაკითხვის დროს. ტყვე მებრძოლებს უგრეხენ ხელებს, სცემენ გავარვარებული ზუმბით. გერმანელებმა 14 დაჭრილი მებრძოლი სავსებით დაუკითხავად ცოცხლად ჩააგდეს კოცონში. როცა გერმანელებმა შეიტყვეს, მებრძოლი გამოტა სევასტოპოლისათვის იბრძოდაო, სულ მთლად დაჩხვლიტეს ხიშტებით, შემდეგ თავი მოჰკვეთეს. მებრძოლ აბლესტინს, რომელიც „სს"-ელებს ხელში ჩაუვარდათ, რამდენიმე დღეს ზედიზედ აწამებდნენ. მას ხელები გადაუმტვრიეს და მყესები ამოაცალეს".

მ. ტუროვსკი

მებრძოლთა და მეთაურთათვის გასაგზავნი ინდივიდუალური ამანათების მიღება

სსრკ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გახსნა მებრძოლთა და მეთაურთათვის გასაგზავნი საჩუქრების ინდივიდუალური ამანათების მიღება. ამანათის წონა 5 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. თბილისში ამანათების მიღება დაწესებულია კავშირგაბმულობის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 12 და 15 განყოფილებებში, ხოლო რაიონებში—კავშირგაბმულობის ყველა რაიონულ კანტორაში.

განყოფილებებსა და კანტორებში მოსახლეობისაგან უკვე შემოდის პირველი ამანათები. (საქდესი).

საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

თოვლიან უღელტეხილზე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდის“ 29 ოქტომბრის ნომერში სამხედრო კორესპონდენტი მაკარენკო სწერს:

„უკვე რამდენიმე დღეა კავკასიონის მთაგრეხილებზე ძლიერი ქარბუქი მძვინვარებს. უღელტეხილები, ბილიკები, ხეობები ღრმა თოვლმა დაფარა. გერმანელები მთელი ძალღონით ცდილობენ გამოიჭრან კავკასიის სანაპიროზე, გამოჰყავთ მთებში მეთხილამურეთა რაზმები და ალპიელ მსროლელთა ახალი ჯგუფები. ახობით გერმანელებმა ჰპოვეს სამარე საბჭოთა სამთო მსროლელების მარჯვე ტყვიისაგან. ბევრნი ღრმა ხეობებში გადაიჩეხნენ და იქ დაიმსხვრნენ. ახლა გერმანელები ყინვისაგან სწყდებიან. ჩვენმა მზვერავებმა, რომლებმაც მტრის ზურგში შეაღწიეს, მიწურებში აღმოაჩინეს ათობით გაყინული გერმანელი ჯარისკაცები.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ ხეობაში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. მეტყვიამფრქვევეებმა ჯანაევმა და ჩულუხაძემ ისეთი სროლა ასტეხეს, რომ ფაშისტებმა თოვლით დაფარული ბილიკიდან თავის წამოყოფა ველარ შესძლეს. გერმანელებმა დაჰკარგეს 50 ჯარისკაცი მოკლულთა სახით, მიატოვეს ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საბრძოლო მასალები და უკუიქცნენ.

ქვეგანაყოფთა მეთაურების ცაცანაშვილისა და სტეფანაძის მებრძოლებმა ფლანგზე მტრის ტყვიამფრქვევი შეამჩნიეს, მიხოხდნენ მასთან და გრანატებით მოსპეს საცეცხლე წერტი თავის გუნდიანად. შეტაკებამ მთელ დღეს გასტანა. გერმანელებმა სცადეს კონტრიერიში მოეტანათ ჩვენს ქვეგანაყოფზე, მაგრამ ყველა მათი კონტრიერიში უშედეგო აღმოჩნდა. ფაშისტებმა რამდენიმე ათეული კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და თავისი ზღუდეები მიატოვეს.

მაღლობისათვის ბრძოლაში ათ სამთო მსროლელთან შეტაკება მოიგო მამაცმა ქართველმა მებრძოლმა რევაზიშვილმა. იგი ტყვიამფრქვევით ზედ მიადგა გერმანელთა სანგრებს და პირდაპირი დაშენით ჟლეტდა მათ ჯარისკაცებს. გერმანელები ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ მეტყვიამფრქვევეს, მაგრამ იგი მედგრად განაგრძობდა ბრძოლას. როდესაც მის გარშემო რკალი შეიკრა, რევაზიშვილმა მტრებს ორი გრანატი სტყორცნა და გარემოცვას თავი დააღწია.

მთებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მეავტომატე სერჟანტი ანდრო გოგობერიძე, სოფ. სურამის მცხოვრები, სადაც იგი ამ ცოტახნის წინათ დურგლად მუშაობდა. ყოველგვარ ამინდში, მთის ვიწრო ბილიკებით, სადაც ადამიანის გავლა თითქოს წარმოუდგენელია, იგი მტრის სანგრებამდე აღწევს. ამას წინათ ანდრო გაუვალ ციცაბ ბილიკზე ბატარიაში საომარი მასალები მოჰქონდა. გზაში იგი ჩასაფრებულ მტრებს წააწყდა.

— რუს, დაგვნებდი! — დაუძახეს გერმანელებმა.

გოგობერიძემ სწრაფად მოიხსნა ზურგიდან ნაღმების ყუთი და ავტომატის სროლა ასტეხა.

— მე ქართველი ვარ, მაგრამ ისევე როგორც რუსი, ტყვედ არ ვნებდები! — უპასუხა მან გერმანელებს.

ანდრომ მოსპო ჩასაფრებული მტერი და თავის დროზე მიიტანა ნაღმები ბატარიაში.

ქარბუქის დროს მთებში გაჩაღებულ ბრძოლებში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საპალნის გამყოლი მებრძოლები. მთებში განუწყვეტლივ მიიმართება დასაპალნებული ცხენებისა და სახედრების ქარავნები. წინ გზას მიიკვლევენ და წელამდე თოვლს მიარღვევენ გამყოლები.

სამთო-სასაპალნე ტრანსპორტის მებრძოლთა ჯგუფი სერჟანტ დიმიტრი გავრილოვის მეთაურობით ქარბუქში უღელტეხილზე მიიკვლევდა გზას. გამყოლმა კომკავშირელმა ვანო ცერკიძემ ქარბუქის მიუხედავად ქარავანი არ შეაჩერა. საშიშ ადგილებს შემოუარა და მიუტანა მეტყვიამფრქვევეებსა და ნაღმტყორცნელებს საომარი მასალები, აგრეთვე ალპენშტოკები, წერაყინები და თოკები ალპინისტ-მსროლელებისათვის.

მთებში ზამთარმა უკვე დაისადგურა. სუსხი და ქარბუქი გზას უღობავს ჩვენს მებრძოლებს, მაგრამ ძლიერისათვის არაფერი არ არის საშიში“.

ვ. ყარა-მურზა

ლეიტენანტ მაგრაქველიძის სიმამაცე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდის“ 28 ოქტომბრის ნომერში სათაურით „ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით“ მოთავსებულია შემდეგი დეპეშა:

„ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში სწარმოებს გაფთრებული ბრძოლები მტერთან. ჩვენი ნაწილები წარმატებით იგერიებენ გერმანელთა იერიშებს, მთელ რიგ უბნებზე კი აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან. ნ შენაერთმა წინ წაიწია და ეწევა ბრძოლებს მნიშვნელოვანი მაღლობის დასაკავებლად. შეტაკებებში თავი გამოიჩინა მეავტომატეთა ოცეულმა, რომლის მეთაური არის ლეიტენანტი მაგრაქველიძე. დღის განმავლობაში მან მოიგერია მტრის ჰარბი ძალების ოთხი იერიში და გაჟლიტა 60-მდე ფაშისტი. მტერს დიდი ზარალი მოსდის. ჩვენი ნაწილების მიერ ხელში ჩაგდებული დოკუმენტები საინტერესო ცნობებს შეიცავენ. ერთ-ერთი გერმანელი მეთაური სწერს: „ათი კაცი-ღა დამრჩა. სასწრაფოდ გამომიგზავნეთ მაშველი ძალები. ათი ჯარისკაცით ხომ ვერ დავიპყრობ კავკასიასა და შავ ზღვას“.

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა სძლიეს მტრის მედგარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და პოზიციები გაიუმჯობესეს. გაფთრებულ ბრძოლებში მოსპობილია მრავალი ჰიტლერელი“.

ვ. ყარა-მურზა

შოთა ზაქარაიამ 40 ჰიტლერელი გაჟლიტა

მოქმედი არმია („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). № წითელარმიული გაზეთი ათავსებს ლეიტენანტ შ. წილოსანის კორესპონდენციას, რომელშიაც ამხ. შ. ზაქარაიას ვაჟკაცობაზე მოგვითხრობს: „რამდენიმე დღის წინათ ლეიტენანტ ნიკოლეპოვის ნაღმტყორცნელთა ოცეული მხარს უჭერდა ქვეითელთა ნ ქვეგანაყოფს მოგერიებითს ბრძოლაში. მოწინააღმდეგე გაშმაგებით უტევდა ჩვენს თავდაცვითს ზღუდეს. მტერს დასერილი ადგილმდებარეობაც ხელს უწყობდა ამაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი მებრძოლების შეუწყვეტელი ცეცხლი და სიმტკიცე მტერს წინწამოწევის საშუალებას არ აძლევდა. ჩვენი მებრძოლების ურყევმა წინააღმდეგობამ მტერს დიდი ზარალი მიაყენა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. მაგრამ მოწინააღმდეგე მაინც არ სწყვეტდა შემოტევას. რაც არ უნდა დასჯდომოდა, ის მაინც ცდილობდა შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვის ხაზში და იწყო მაშველი ძალების გადმოყვანა მანქანებით.

ბატარიის მეთაურმა მემიზნე სერჟანტმა შოთა ზაქარაიამ გუნდს უბრძანა, რომ ნაღმსატყორცნის ცეცხლით მტრისათვის არ მიეცა ახალი მაშველი ძალების გადმოსროლის საშუალება.

სერჟანტმა შ. ზაქარაიამ ზუსტად განსაზღვრა მანძილი, საჩქაროდ შეარჩია ყველაზე ვიწრო ადგილი, სადაც მტერს თავისი ძალები უნდა გადმოეყვანა, და გახსნა ცეცხლი. პირველი სამი ნაღმი, როგორც მემიზნემ, მან თვითონ გაისროლა და მესამე ნაღმი გერმანელთა მანქანაში ჩააგდო. მანქანა ჰაერში აიტყორცნა. მანქანასთან ერთად აფეთქდა მტრის ორი ნაღმსატყორცნი და მანქანაში მსხდომი 40 ჰიტლერელი.

კომკავშირელმა სერჟანტმა შოთა ზაქარაიამ ასე სახელოვნად გახსნა თავისი პირადი საბრძოლო ანგარიში წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამხ. შ. ზაქარაია ნაწილის სარდლობის მიერ წარდგენილია მთავრობის მაღალ ჯილდოზე“.

პოლიტხელი ჰ. შამათავა

სახელოვანი მებრძოლები მიღებული არიან პარტიის რიგებში

ქვეგანაყოფი № დასახლებული პუნქტისათვის გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა. მებრძოლები თავგამოდებით მიიწევდნენ წინ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. ცეცხლის წინა ხაზზე ბუჩქებში მტრის ბლინდაჟებიდან რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით წითელარმიელებმა მალაზონიამ, ცერცვაძემ, წოწორიამ და ეგაძემ ფიცი დასდეს იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მტერს ზურგი არ უჩვენონ. ისინი წამით მიუბრუნდნენ პარტორგს და წითელარმიელმა მალაზონიამ გადასცა მას თავისი ამხანაგების სურვილი: „ახალ საიერიშო ზღუდეზე გადასვლის წინ, ჩვენ გვინდა ბრძოლაში კომუნისტებად წავიდეთ“. ისინი კვლავ შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს. ქვეგანაყოფმა წარმატებით შეასრულა საბრძოლო ამოცანა.

გერმანელ ველურებისაგან განთავისუფლებულ სოფელში პარტორგმა სახელდახელოდ მოუყარა თავი კომუნისტებს სადელეგატო კრებაზე და განიხილა საკითხი პარტიაში ამხანაგების მიღების შესახებ. მოწინავე მებრძოლები ამხ. მალაზონია, ცერცვაძე, წოწორია და ეგაძე, რომლებსაც ბრძოლაში თავი გმირულად ეჭირათ, ერთსულოვნად მიღებულ იქნენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში.

წითელარმიელი ვ. თოხაძე



მამაცი მებრძოლი რომაზოშვილი

„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი ბ. პოლევოი 23 ოქტომბრის „პრავდაში“ აქვეყნებს წერილს სათაურით „სტალინგრადის კედელი“, რომელშიაც შემდეგს მოგვითხრობს სახელოვან ქართველ მებრძოლ რომაზოშვილზე:

„სტალინგრადის სამხრეთ განაპირა უბანზე მებრძოლ ერთერთ ქვეგანაყოფში ჰქუხს უზბეკი სნაიპერის ჰინდ ხუჯამეტოვის სახელი. ღამეობით იგი აიღებს ხოლმე ოპტიკურ სამიზნიან შაშხანას, წამოისხამს შესანიღბავ ხალათს და მიდის ველად იმ გზებზე, რომლებითაც გერმანელებს მაშველი ძალები მოჰყავთ, წვება და მთელ დღეს მოთმინებით ელოდება, ველის სწორ ჰორიზონტზე როდის გამოჩნდება გზით მომავალი გერმანელის სილუეტი. მაშინ იგი სამიზნის ოკულარში მოაქცევს ხოლმე მას, და ეს გერმანელი სიცოცხლეს ეთხოვება. სტალინგრადის მისადგომებზე ასე გაჟლიტა 113 მტერი მოხუცი ბუხარელი მონადირის შვილმა. მშვიდობიანი ცხოვრებისას იგი მებამბეობას მისდევდა, ოცნებობდა გამხდარიყო საფეიქრო დარგის ინჟინერი. ათეულობით მებრძოლები ცდილობენ ისწავლონ მისი ოსტატობა. რამდენიმე ხანია იგი ველად მარტო როდი მიდის. მასთან ერთად მიდიან ტანადი, მოხდენილი ქართველი რომაზოშვილი და ჯმუხი ყაზახი აბრუხალან ველდინოვი. ახლა ისინი სამნი უდარაჯებენ მტრის გზებს და ჟლეტენ გერმანელებს ქალაქის მისადგომებზე. ქართველმა უკვე მოკლა 11 გერმანელი, ყაზახმა—7“.

თერთმეტი მამაცი

მოქმედი არმია („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ფაშისტთა მიწურ საცეცხლე წერტამდე რამდენიმე მეტრი დარჩა. გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი შალვა ბერიშვილი გაიჭრა წინ და შესძახა:

— მომყევით, ამხანაგებო! სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — და პირველი გადაეშვა მტრის საცეცხლე წერტისაკენ. ათი მებრძოლი უკან გამოედევნა მამაც მეთაურს.

გერმანელები გააფთრებით ისროდნენ ტყვიამფრქვევებსა და ავტომატებს, გზას უღობავდნენ გამბედავ მებრძოლებს, მაგრამ გვარდიელებმა უკვე მიაღწიეს მიზანს. მათ შეჰყარეს გრანატები სათოფურსა და გასასვლელში და მივარდნენ მიწურ საცეცხლე წერტს. მასში პირველი შევარდა შალვა ბერიშვილი, მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ მებრძოლები. იქ ეყარა ფაშისტთა რამდენიმე გვამი, სათოფურში გაჩხირული იყო ტყვიამფრქვევი.

უეცრად სიმაგრის გარშემო ყოველი მხრიდან ერთბაშად გაისმა რამდენიმე ავტომატის სროლა. გერმანელები ცდილობდნენ გვარდიელთა გარშემორტყმას და მოსპობას.

შალვა ბერიშვილმა შეაფასა ვითარება და უბრძანა მებრძოლებს ცეცხლი დაეშინათ მეავტომატეთათვის, თვითონ კი მიმართა ნადავლი ტყვიამფრქვევი.

შეწყობილი ცეცხლით საბჭოთა მეომრებმა მოიგერიეს ფაშისტთა 11 იერიში და მოსპეს 50 გერმანელი.

ნ. აგიაშვილი

ბრძოლა 9.000 მეტრის სიმაღლეზე

ჰაერში აფრინდა სწრაფი ავიაგამანადგურებელი. მანქანა მიჰყავდა მამაც და გამოცდილ მფრინავს, უფროს სერჟანტ მახარაძეს. ჰაერში ბარაჟირების დროს იგი ხშირად ხვდებოდა პირისპირ ჰაერის ფაშისტ მეკობრეებს, გაბედულად ებმოდა ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

9.000 მეტრის სიმაღლეზე, კავკასიის დიდი ქალაქის მისადგომებზე ქურდულად მოდიოდა ორი ავიაგამანადგურებელი „იუ-88“.

უფროსი სერჟანტი მაღლა ავიდა და მტრის შესახვედრად გაეშურა. გერმანელებმა კურსის შეცვლა იწყეს. მახარაძემ სიჩქარე განავითარა და მოკლე დისტანციიდან დააყარა ტყვია მტრის ერთ-ერთ თვითმფრინავს. გერმანელმა გაქცევა სცადა, მაგრამ წითელვარსკვლავა ავიაგამანადგურებელი გაანგარიშებული და მარჯვე მოძრაობით ეწეოდა მას და განუწყვეტლივ უშენდა. რამდენიმე მარჯვე ჯერი ფაშისტთა ბომბდამშენის სამოტორო ნაწილს მოხვდა, მტრის თვითმფრინავი მარცხნით გადაიხარა და შემდეგ ალმოდებული ჩავარდა ზღვაში.

ი. დუბინსკი

უკვდავია გმირი ცაგარლის სახელი

№ წითელარმიულ გაზეთში პოლიტხელი ი. ლემეშკინი მებრძოლ ამხ. ცაგარლის თავგანწირული ბრძოლისა და სახელოვანი სიკვდილის შესახებ მოგვითხრობს:

„ეს იყო ახლო წარსულში, ღამით. ჩვენი მებრძოლები მიუახლოვდნენ ხშირი ბალახით დაფარულ და წვეტიანი მავთულით გადახლართულ სარებს. მახლობლად მოსჩანდა გერმანელთა ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, საიდანაც ვარდებოდა ცეცხლის ალი. ფაშისტები ტყვიამფრქვევსა და ავტომატებს ისროდნენ.

მებრძოლების გარშემო წიოდნენ ტყვიები, სადღაც მახლობლად დაიკვნესა დაჭრილმა ყოველ წითელარმიელს. მებრძოლები ერთპირად წამოდგნენ და წინ გადაეშვნენ. ამხ. ცაგარელი თავისი ავტომატიდან ტყვიის სეტყვას აყრიდა გაქცეულ გერმანელებს. აი მიწაზე დაეშვა ერთი ფაშისტი, შემდეგ მეორე, მესამე...

კომუნისტ ამხ. ცაგარლის მიერ აღფრთოვანებული წითელარმიელები თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს. ისინი შაშხანითა და ავტომატით პირდაპირ ესროდნენ და სპობდნენ ფაშისტებს, ბრძოლაში მარჯვედ იყენებდნენ გრანატებს. ჩვენმა მებრძოლებმა წინა სანგრებიდან ამორეკეს გერმანელები და რამდენიმე სახლი დაიკავეს...

ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩასაფრებული უმცროსი სერჟანტი ი. ბოჩიკაშვილი და სერჟანტი ტ. ჰოჭინაძე უშენენ გერმანელ მზვერავებს.

ლენინგრადელ პარტიზანთა ორი კვირის ბრძოლა

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი, 28 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ლენინგრადის ოლქის რამდენიმე მომიჯნავე რაიონში ამ უკანასკნელ თვეებში პარტიზანებმა გააძლიერეს თავიანთი მოქმედება. აწყობენ რა ჩასაფრებას რკინიგზის გადასარბენებსა და გზატკეცილებზე, სახალხო შურისმგებლები ყოველდღე აგდებენ ლიანდაგიდან მატარებლებს, ანადგურებენ აღალებს, ჟლეტენ გერმანელ ოკუპანტებს. ფაშისტებს ვერ შველის ვერც გაძლიერებული დაცვა, ვერც ბადრაგა.

დამფრთხალმა ჰიტლერელებმა სამჯერ გამოგზავნეს აქ დამსჯელი ექსპედიციები. ყველა ისინი სრული მარცხით დამთავრდნენ. მარცხით გაბოროტებული ფაშისტთა სარდლობა ახალ, მეოთხე ექსპედიციას აწყობს. მის შემადგენლობაში შევიდნენ მსროლელი დივიზია და სპეციალურად შერჩეული პოლკი. საექსპედიციო ჯარების საცეცხლე საშუალებანი გაძლიერებული იყო ტანკებით, არტილერიით, ბომბდამშენი ავიაციით.

პარტიზანულმა რაზმებმა გადასწყვიტეს მტერს შებმოდნენ. მათ თავდაცვა დაიკავეს სამ დასახლებულ პუნქტში. ამავე დროს ამ პუნქტების მახლობელი მდინარის მეორე ნაპირზე გამაგრებული რაიონი იქმნებოდა. მცირერიცხოვანი მოსახლეობა გაფრთხილებულ იქნა მომავალი ბრძოლების შესახებ. მოსახლეობის ერთი ნაწილი ტყეში გაიხიზნა, ნაწილიც პარტიზანებს შეუერთდა.

ფაშისტებმა საარტილერიო მომზადება შებინდებისას დაიწყეს. იფეთქა ხანძრებმა. სოფელ ს. თავზე ფაშისტთა ბომბდამშენები გამოჩნდნენ.

როგორც ყოველთვის, ჰიტლერელთა ქვეით ჯარს ტანკები მოუძღოდნენ. მათ უკვე ელოდნენ ჩასაფრებული პარტიზანები — ჯავშანმტვრეველები, გრანატმტყორცნელები. როცა მეწინავე ტანკი კარტოფილის ფოჩების გადმოთელვით ქუჩაზე გამოსასვლელად ემზადებოდა, იგი ზუსტი სროლით დააზიანა ერთ-ერთმა ჯავშანმტვრეველმა. მალე ასეთივე ბედი ეწია კიდევ ორ მანქანას. დანარჩენი 3 ტანკი უკუიქცა.

ქვეითი ჯარი შემოტევას განაგრძობდა მძლავრი ნაღმსატყორცნის ცეცხლის საფარქვეშ. ცალკეული ნაღმები პარტიზანთა სანგრებში სცვიოდა. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება. პარტიზანებმა ეს იციან. ისინი გულადად მიდიან მტერთან შესახვედრად. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ვისაც ვაზნა გამოელია, იგი კონდახით მოქმედებს.

ფაშისტები დაი[illegible] წინააღმდეგობა მათს ვარაუდში არ შედიოდა, ჰიტლერელები იძულებული გახდნენ დაეხიათ პირვანდელ პოზიციებზე. მარტო ერთი დღის ბრძოლებში მტერმა დაჰკარგა 500 ჯარისკაცი და ოფიცერი, 3 ტანკი, ნაღმსატყორცნი ბატარია, 1 ბომბდამშენი და 2 დაზგის ტყვიამფრქვევი.

პუნქტი ს. ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. მხოლოდ მეოთხე დღის ღამით მტრის ჰარბი ძალების მოწოლის გამო პარტიზანებმა მდინარის გაღმა დაიხიეს და თავდაცვა დაიკავეს გამაგრებულ რაიონში.

წყლის ზღუდემ პარტიზანებს მდგომარეობა შეუმსუბუქა. გერმანელები ექვსი დღის განმავლობაში ცდილობდნენ მდინარე გადმოელახათ. მტრის ყველა ცდა ჩაიფუშა. ამის შემდეგ გერმანელებმა მიიღეს მაშველი ძალა — ახალი „გადამღობი“ პოლკი. მტერს, რომელსაც გაცილებით მეტი ადამიანთა შემადგენლობა და ტექნიკა მოეპოვებოდა, ზედიზედ მოჰქონდა იერიში. მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. ამ დროს ფაშისტთა ზურგიდან მზვერავები მოვიდნენ, მათ საშინელი ამბავი მოიტანეს.

პუნქტი ს. საყოველთაო გაძარცვის შემდეგ გადაუწვავთ. მოსახლეობა, რომელიც ტყის კარვებსა და მიწურებში იმყოფებოდა, ეწამებიათ და დაუხოციათ. ათობით ქალი და მოხუცი ჰიტლერელებმა დაუკითხავად დახვრიტეს. მტარვალებმა ცეცხლი გაუჩინეს კარვებს, რომლებშიც ბავშვები იყვნენ. უბედურმა დედამ კარავს მიაშურა, რათა ბავშვები ცეცხლისათვის გამოეტაცნა. ფაშისტის ტყვიამ მას სიცოცხლე მოუსპო.

გერმანელთა მიერ ჩადენილი მხეცობის ამბავი სწრაფად მოედო ყველა პარტიზანს.

— ვჟლიტოთ მაროდიორები! ვიბრძოლოთ! — ერთსულოვნად გადასწყვიტეს მკაცრმა, მამაცმა ადამიანებმა. მდინარის პირას ბრძოლები ახალი ძალითა და სისასტიკით გაჩაღდა. პარტიზანთა შეუპოვრობა ვერ გასტეხა ვერც ჰაერიდან დაბომბვამ, ვერც ხშირმა საარტილერიო სროლამ.

ჰიტლერელთა მეოთხე, ფართოდ მოფიქრებულმა დამსჯელმა ექსპედიციამ მიზანს ვერ მიაღწია. მან ვერ მოახერხა პარტიზანული მოძრაობის ჩაქრობა. სახალხო შურისმგებელთა რაზმები წინანდებურად ჟლეტენ და კვლავაც ჩასცემენ სასიკვდილო ლახვარს ფაშისტ დამპყრობთ.

ვ. მედვედევი

ღამე მოწინავე პოზიციაზე

მოქმედი არმია, 26 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). მოწინავე პოზიციებისაკენ მივდივართ. გზაზე პატარა ხევები, ხრამები გვხვდება. მივდივართ სოფელზე. იშვიათად ვხვდებით გადარჩენილ ქოხს. ფაშისტებმა ყველაფერი დასწვეს თავიანთი უკანდახევის დროს. წინა კიდეზე ხან აქ, ხან იქ გაიელვებს შაშხანის გასროლის გამო. ცალკეულ სროლას მოტრასირე ტყვიების სატყვიამფრქვევო ჯერები სცვლის.

ბუჩქნარით დაფარულ ხევში პატარა ბლინდაჟია. აქეთ მოდის მავთულები სხვადასხვა მიმართულებიდან. ტელეფონთან ნაწილის მეთაურია. იგი იღებს დაზვერვის მეთაურის მოხსენებას. დაზვერვის მეთაური ეს არის ღამით დაზვერვიდან დაბრუნდა. მებრძოლებმა ვერ ჩაიგდეს ხელში მოენე, მაგრამ იმათ აიძულეს გერმანელები სროლა აეტეხათ და ამით გამოააშკარავეს მათ საცეცხლე საშუალებათა სისტემა.

ჩვენ მეთაურს ვესაუბრებით. იგი გვიამბობს, თუ რა ხდება ირგვლივ ღამის წყვდიადში ისეთი, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერც ვისმენთ.

— აი იქ,—ხელს იშვერს მეთაური სამხრეთისაკენ,—გაჩაღებულია მუშაობა. მეორე ბატალიონის მებრძოლები ძელმიწურ საცეცხლე წერტებს აგებენ, ახალ სანგარსასვლელებს იკეთებენ. ჩვენი სანგრების ხაზის წინ კი მოთვალთვალეები და სნაიპერები ჩაწოლილან. მათ ჩინებულად აქვთ შესწავლილი ადგილი და ღამითაც არ გამოეპარებათ მტრის მხარეზე მომხდარი ოდნავი ცვლილებაც კი. ჩვენი მეტყვიამფრქვევენი დაწინაურდნენ სპეციალურად გამზადებულ ღამის პოზიციებზე და მოქმედება დაიწყეს. და მართლაც, ხან ღამის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხანგრძლივი ჯერი, ხან მოკლე ჯერის ტკაცანი. გერმანელებს არ უნდა ვაცალოთ დასვენება.

ჰაერში მოტორის გუგუნი ისმის, რაც ხანდახან სწყდება. ეს ფაშისტთა მაკორექტებელი მოდის ჩვენი პოზიციების თავზე. ხანდახან იგი მოტრასირე ტყვიების ცეცხლს უშვებს ზევიდან ქვევით, როგორც ჩანს სამიზნეებს უჩვენებს.

ჩვენს ახლოს ბილიკით მიდის ორი მებრძოლი. მათ თერმოსები მიაქვთ. ნახევარ საათში სანგრებში ცხელი ვახშამი იქნება. იქვე მიაქვთ საომარი მასალის მარაგი ერთი დღისათვის.

მეთაურს ტელეფონთან ეძახიან—შევსება მოვიდა. იგი განლაგებულია უახლოეს სოფელში და ისვენებს. ხვალ ახალგაზრდა მებრძოლები თავიანთ ადგილებს დაიკავებენ სატყვიამფრქვევო ბუდეებში, ძელმიწური საცეცხლე წერტების ამბრაზურებთან, მსროლელთა სანგრებში.

ზ. აფანასიევი

სმოლენშჩინის ინტელიგენცია პარტიზანულ რაზმებში

მოქმედი არმია, 24 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ფაშისტურ ტყვეობას თავს აღწევენ საბჭოთა მოქალაქეები და პარტიზანულ რაზმებში მიდიან. მშვიდობიანი პროფესიის ადამიანები—მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები, ბუღალტრები აქ მამაცი მებრძოლნი, გაბედული მზვერავები და ნიჭიერი მეთაურები ხდებიან.

ყოფილი სოფლის მასწავლებელი ამჟამად პარტიზანულ რაზმს მეთაურობს. გერმანელებმა დაუწვეს მას სკოლა, ჩამოუხრჩეს ცოლი და და, დაუხვრიტეს ნათესავები. დაუნდობლად იძიებს იგი შურს გერმანელებზე თავისი ხალხის ცრემლისა და სისხლისათვის.

მარტო ერთი თვის განმავლობაში სერგეის რაზმმა მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი, 125 ავტომანქანა, ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 13 ეშელონი, ააფეთქა 8 ხიდი. მამაცი პარტიზანი მზვერავები გახდნენ სმოლენსკის სკოლის მასწავლებელი ქალი და მოსწავლე ქალი. ისინი არა მარტო ძვირფას ცნობებს აწვდიან რაზმს, არამედ ბრძოლასა და ჩასაფრებაშიც კი იღებენ მონაწილეობას. მათ თავიანთ ანგარიშზე რამდენიმე ათეული მოკლული გერმანელი ჰყავთ.

პარტიზანები პატივისცემითა და სიამაყის გრძნობით იხსენიებენ თავიანთ ექიმს, რომელიც ლაშქრული ცხოვრების ძნელ პირობებში გადაარჩენს ხოლმე დაჭრილებს, მკურნალობს ავადმყოფებს, ხოლო ბრძოლის დროს ტყვიამფრქვევითა და ავტომატით მოქმედებს.

ახალგაზრდა ინჟინერი, რომელიც წინათ ორთქლმავალთა აღდგენაზე მუშაობდა, ახლა ლიანდაგიდან აგდებს სამხედრო მატარებლებს. მტრის საომარი მასალისა და ტექნიკის ოთხი ეშელონი ჰაერში აიტყორცნა, ანატოლისა და მისი თანამებრძოლი მეგობრების მიერ ჩაწყობილი პარტიზანული ნაღმებით აფეთქებული.

საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა მთავრობის ჯილდოები მიიღეს მამაცობისა და გულადობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში.

ლ. ბაკაშოვა

ბრძოლები ეგვიპტეში

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 28 ოქტომბერს ღამით ინგლისის ქვეითმა ჯარმა წინ წაიწია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. წამოყვანილია ტყვეები. გუშინ მოხდა ჯავშანსატანკო ძალების მცირე შეტაკებანი, რომელთა დროსაც მოწინააღმდეგეს ზარალი მოუვიდა. ბრძოლები გრძელდება.

28 ოქტომბერს ღამით და გუშინ დღისით ინგლისის ავიაციამ დაბომბა და ტყვიამფრქვევები დაუშინა მოწინააღმდეგის ძირდასაშვებ მოედნებსა და სხვა ობიექტებს.

ინგლისში ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტი ჩავიდა

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ახალი კონტინგენტი ჩამოვიდა.

შვედური გაზეთი შვეციაში გერმანიის თვითმფრინავის დაუსჯელი ფრენის შესახებ

სტოკჰოლმი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). შვედური გაზეთი „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“, ეხება რა ჰელსინგბორგის რაიონში გერმანიის თვითმფრინავის ფრენას, რასაც ადგილი ჰქონდა 25 ოქტომბერს, სწერს, რომ „თავდაცვის შტაბმა გულუბრყვილოდ გამოაცხადა, თითქოს ეს თვითმფრინავი „გამაფრთხილებელი სროლის შემდეგ“ დასავლეთისაკენ გაემართა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ნამდვილად, ადგილობრივი პრესის ცნობების მიხედვით, საქმე სხვანაირად იყო. თურმე ეს თვითმფრინავი დილით გამოჩნდა ნავთის პორტზე და გაშორდა მას. 20 წუთის შემდეგ მან კვლავ გადაუფრინა ქალაქს ჩრდილოეთით. როცა სროლა აუტეხეს, კურსი შესცვალა და ჰელსინგბორგის აღმოსავლეთ ნაწილს გადაუფრინა. მას კვლავ აუტეხეს სროლა, და მაშინ თვითმფრინავი, როგორც იქნა, მიიმალა. მზიანი დღე იყო, და დეზორიენტირების ყოველგვარი შესაძლებლობა სავსებით გამორიცხულია.

გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ თვითმფრინავი დაზვერვის მიზნებს ისახავდა, და სწერს: „ამ შემთხვევაში მას გამამხნევებელი შედეგები აქვს, რადგან ცუდი რამ არაფერი დამართნია. ცნობილია, რომ მოქმედი წესები საშუალებას იძლევიან ნამდვილი ცეცხლი დაუშინონ, თუ გამაფრთხილებელი სროლა შედეგებს არ გამოიღებს. რატომ,—კითხულობს გაზეთი,—არ იქნა გამოყენებული ეს ნებართვა ნეიტრალიტეტის ასეთი აშკარა დარღვევისას, როგორსაც ჰელსინგბორგში ჰქონდა ადგილი?“

იტალიის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა

სტამბოლი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). ომის აუტანელმა ტვირთმა და გერმანელთა მიერ იტალიის გაძარცვამ სავსებით მოშალეს იტალიის ფინანსიური მეურნეობა. გამუდმებით იზრდება იტალიის სახელმწიფო ვალი. მთავრობა თავისი ხარჯების დასაფარავად იძულებულია დაუსრულებელ სესხებს მიმართოს. სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში იტალიის მონაწილეობის მანძილზე გამოშვებული სესხების თანხა იტალიის თითქმის ოთხი წლის ომამდელ სახელმწიფო ბიუჯეტს შეადგენს.

იტალიიდან გატანილი სურსათისა და ნედლეულისათვის გერმანელები არაფერს არ იხდიან, იტალიელები კი იძულებული არიან გერმანიის მიერ მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებლად ძველ იტალიელ ოსტატთა ხელოვნების ნაწარმოებნი ჰგზავნონ გერმანიაში.

საგადასახადო დაბეგვრა განუწყვეტლივ იზრდება და აუარესებს იტალიელი მოსახლეობის ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას.

მოსახლეობის მასობრივი გაქცევა ელზასიდან და ლოტარინგიიდან

ლონდონი, 29 ოქტომბერი (საკუთარი). გერმანელთა მიერ ოკუპირებული ელზასისა და ლოტარინგიის მცხოვრებნი გარბიან ამ ოლქებიდან, რათა თავი დააღწიონ გერმანიის არმიის რიგებში იძულებითს მობილიზაციას და მხეცურ ჰიტლერულ ტერორს. ისინი ამასთან მთელ თავიანთ ქონებას სტოვებენ. როგორც აფის სააგენტო იუწყება, ჰიტლერის მოადგილე ბურკელი იძულებული იყო გამოეცა სპეციალური ბრძანება, რომელიც კრძალავს ხელისუფალთა სპეციალური ნებართვის უქონლად ელზასიდან და ლოტარინგიიდან წასვლას; ყველა, ვინც თვითნებურად დასტოვებს ელზასისა და ლოტარინგიის ფარგლებს, მტრის აგენტად იქნება მიჩნეული.

საბჭოთა პარტიზანების სიმტკიცე და მამაცობა

ჰიტლერელი სამხედრო კორესპონდენტის აღიარება

სტოკჰოლმი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). ჰიტლერულ გაზეთებში სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდება ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, რომლებიც ააშკარავებენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების პირუტყვულ შიშს საბჭოთა პარტიზანების წინაშე.

გაზეთ „ვესტდოიჩერ ბეობახტერის“ სამხედრო კორესპონდენტმა მოათავსა სტატია, რომელშიც ასწერს გერმანული დამსჯელი რაზმის დაეინებითს და უნაყოფო ცდებს—მოსპოს ერთ-ერთი პარტიზანული რაზმი. „უკვე თითქმის ერთი კვირაა,—სწერს კორესპონდენტი,—პოლიციელთა რაზმი უფროსი ფელდფებელის მეთაურობით განუწყვეტლივ დაეძებს პარტიზანებს“.

მაგრამ,—ჩივის კორესპონდენტი, — დაკითხვისას უფროსი ფელდფებელის მთელი „ოსტატობის“ (ესე იგი მხეცობისა და წამების) მიუხედავად, „ის ვერ ახერხებს მიაგნოს პარტიზანების კვალს, და მისთვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ მას საქმე აქვს დიდ რაზმთან, რომელსაც მტკიცე ხელმძღვანელობა ჰყავს. პარტიზანებმა მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. მათ დაანგრიეს გერმანიის ჯარების გადასაყვანად განკუთვნილი მრავალი გზა“. დამსჯელი რაზმი არყის ხშირ ტყეში შედის. მას თავს ესხმის ოთხი პარტიზანი. გერმანელები ძლივს იგერიებენ ამ თავდასხმას, ტყვედ ჩაიგდებენ ერთ დაჭრილ პარტიზანს და დაჰკითხავენ, თუ რამდენი პარტიზანია ძელმიწურებში. „ტყვე, —სწერს გაზეთი, — დაცინვით იღიმება და უპასუხებს, რომ ძელმიწურები მიუვალია“.

შემდეგ აწერილია გერმანელთა იერიშები პარტიზანების ერთ-ერთ ძელმიწურზე. „პოლიციელთა რაზმს ოთხივე მხრიდან მიაქვს იერიში ძელმიწურზე, რომელიც დიდი ოსტატობით არის აგებული. მის სათოფურებს არც ერთი ფუჭი წერტი არა აქვს. პარტიზანები ათობით ამბრაზურიდან განუწყვეტლივ უშენენ ყველა მხარეს. ერთ-ერთი პოლიციელი მოკლულია. გერმანელთა რაზმში დაჭრილთა რიცხვი მატულობს. ერთ-ერთი თავდამსხმელი ძელმიწურს მიაღწევს და გრანატების ორ კონას ესვრის კარს. გაისმის აფეთქება, მაგრამ ძელმიწურის კარი, დიდი მორებისაგან გაკეთებული, არც კი დაზიანებულა. ორი-სამი საათის შემდეგ, ღამით, იერიში ახლდება. მოვიდა გერმანელი კაპიტანი მაშველი ძალებით, ადამიანებითა და საომარი მასალებით. თავდამსხმელთ კვლავ ყოველი მხრიდან მიაქვთ იერიში ძელმიწურზე და კვლავ იძულებული არიან უკან დაიხიონ, ამასთან დიდი ზარალი მოსდით ადამიანების მხრივ. პარტიზანები კიდევ უფრო მეტი გააფთრებით იცავენ თავს. ტყის სიმაგრე მართლაც მიუვალი აღმოჩნდა, კაპიტანი გადაწყვეტილებას იღებს გარეკოს პარტიზანები ძელმიწურიდან. გრძელი ლატანებით მიაქვთ ძელმიწურთან თივის კონები და ცეცხლს უკიდებენ მას, მაგრამ ძელმიწური არ იწვის და პარტიზანები არ სტოვებენ მას. პოლიციელები ცუდ გუნებაზე დგებიან“.

თავდასხმები გერმანელ ოკუპანტებზე ვარშავაში

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საკუთარი). ვარშავიდან მიღებული ცნობებით, იქ გახშირდა პოლონელი პატრიოტების თავდასხმები გერმანელ ჯარისკაცებსა, ოფიცრებსა და მოხელეებზე. 24 ოქტომბერს ბომბი ესროლეს გერმანელი ოფიცრებისათვის განკუთვნილ ყავახანას. იმავე დღეს აფეთქებით მთლად იქნა დანგრეული მეორე ყავახანა, რომელიც ოკუპანტებს უწევდა მომსახურებას. ამასთან მოკლულ იქნა რამდენიმე ოფიცერი და დაიჭრა ბევრი. მეორე დღეს გესტაპოს რაზმმა მძევლებად 50 პოლონელი დააპატიმრა. ვარშავის გერმანელმა გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა: დაპატიმრებულნი სიკვდილით დაისჯებიან, თუ აფეთქებათა დამნაშავენი არ იქნებიან აღმოჩენილნი. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ საღამოს 7 საათის შემდეგ პოლონელებს ნება არ ეძლევათ ქუჩაში გამოჩნდნენ.

ზანგთა შრომის გამოყენების გაძლიერება ა. შ. შტატების მრეწველობაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი (საკუთარი). რუზველტმა შექმნა ა. შ. შტატების სამხედრო მრეწველობაში ზანგთა შრომის გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტი იმ ბრძანების საფუძველზე, რომელიც გამოცემულია პრეზიდენტის მიერ 1941 წლის 25 ივნისს. ამ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ სამხედრო მრეწველობაში სამუშაოდ მიღებას დაბრკოლებას უქმნიან რასიული, რელიგიური და ნაციონალური ნიშნების მიხედვით და რომ ასეთი დისკრიმინაცია ეწინააღმდეგება ა. შ. შტატების პოლიტიკას, მეწარმეთა ვალია, ნათქვამია ბრძანებაში, უზრუნველჰყონ ყველა მუშის სრული და სამართლიანი მონაწილეობა წარმოებაში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტში

2 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტში ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს აკადემიკოსი ა. შანიძე. თემა: „ზმნის ულლების ფორმათა გადაჯგუფება ქართულში და მისი ისტორიული საფუძველი“. დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

1 ნოემბერს: სახოპერო — დღისით — „რიგოლეტო“, საღამოს — „ტოსკა“. რუსთაველის სახელობის — დღისით — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, საღამოს — „ოტელო“. მარჯანიშვილის სახელობის — დღისით — „ხანუმა“, საღამოს — „ინჟინერი სერგეევი“. გრიბოედოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „ბარბაროსები“. სომხური თეატრი — დღისით და საღამოს — „გიორგ მარზპეტუნი“. ახუნდოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „ოქტა ელ ოგლუ“. მუსიკალური კომედიის — დღისით და საღამოს — „არშინ-მალ-ალან“. სანკულტურის — „სტუმარ-მასპინძლობა“. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — დღისით და საღამოს — „ნაცარქექია“.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 12“, ოქტომბერი — „საბრძოლო კინოკრებული № 11“, დამკვრელი — „ახალგაზრდობა“, კომკავშირელი — „კარო“, ხპარტაკი — „კორზინკინას თავგადასავალი“ და „საქართველოს XI-XII საუკუნეების ძეგლები“, ლუქსემბურგის სახ. — „ცირკი“, 26 კომ. სახ. — „მთის ნაკადი“, კომინტერნი — საბრძოლო კინოკრებული № 6“, მეცნიერება და ცოდნა — „გიქორ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

მე-5 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივი იუწყება დიმიტრი გაბუნიას შვილის

ვახტანგ (ლულუ) დიმიტრის-ძე გაბუნიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 1/XI, 2 ს. ბრძოლის ქ. № 25, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1394

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ბესიკ და ინჟინერ გოგი მიხეილის-ძე ალხაზაშვილების ბებიის

პელაგია ვახტანგის-ასულ ლოლაძე-კიკნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/X, 7 ს. კობის ქ. № 21, დაკრძალვა 1/XI, 3 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1392

თბილისის მე-4 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან ბაბო ჩხეიძის შვილის

ბენიტა რაფიელის-ასულ ჟღენტის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/X, 7 ს. არღუთინსკის ქ. № 1, დაკრძალვა 1/XI, 3 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1396

„თბილავიარობის“ დირექცია და ადგილკომი იუწყებიან, რომ 1/XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ბიძინა (ივანე) ილიას-ძე დათუკიშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1390

თბილისის თბოელექტროცენტრალის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან, რომ 1/XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

გიორგი (გოგი) ტარასის-ძე ხარინკველის

სამოქ. პანაშვიდი. 1391

თბილისის ხილბოსტანვაჭრობის სატრანსპორტო კანტორა იუწყება, რომ 1/XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება

ნინო ივანეს-ასულ ძეშელაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1393

ოჩამჩირის ტრანსტორგპიტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება

დავით (დათიკო) სევასტის-ძე ჭაჭიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/XI, სოფ. არგვეთაში. 1395

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 11026